ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

N 25/15114
21/09/2017

15114-25-2-201709211505

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს
ბატონ გიგა ზედანიას

ბატონო გიგა,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს ქვეპროგრამას „ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდია წარმატებული სტუდენტებისათვის“. ქვეპროგრამა ითვალისწინებს ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის უმაღლეს საგანამანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხულ იმ სტუდენტებზე ლუკა ასათიანის სახელობის სტიპენდიის გაცემას, რომლებიც უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვის მომენტისათვის რეგისტრირებულნი არიან ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მიღებული აქვთ დადებითი შეფასება (A) ფრიადი (91 ქულა და მეტი) წინა სემესტრის საშუალო აკადემიური მოსწრების დოკუმენტის თანახმად და სწავლობენ ნებისმიერ საგანმანათლებლო მიმართულებებზე.

ქვეპროგრამის თაობაზე, დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე - batumi.ge.

გთხოვთ, ქვეპროგრამის თაობაზე ინფორმაცია გაავრცელოთ თქვენი სასწავლებლის სტუდენტებზე და ასევე, თანდართული დოკუმენტის მიხედვით მოგვაწოდოთ ინფორმაცია, იმ სტუდენტების შესახებ, რომლებიც აკმაყოფილებენ ქვეპროგრამით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

დანართი თან ერთვის.

პატივისცემით,

ალექსანდრე მითაიშვილი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

საქართველო, ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №25. 6010,
ტელ: 0 (422) 24 63 09. www.batumi.ge, E-mail: info@batumi.ge